# აფხაზეთიდან დევნილი მოსახელობის, დევნილად ყოფნის ცხოვრებისეული გამოცდილებები

**მარიამ ხარებავა**

*ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის  მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: სოციოლოგია

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი - მარიამ დალაქიშვილი, ასისტენტ-პროფესორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2024**

# განაცხადი

*როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხდებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების დაცვის შესაბამისად.*

მარიამ ხარებავა

20.06.2024

# აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი ეხება აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის, დევნილად ყოფნის ცხოვრებისეული გამოცდილებების შესწავლას. აფხაზეთის ომის შემდეგ 30 წელზე მეტია გასული, თუმცა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხი კვლავ აქტუალურია. მას შემდეგ, რაც დევნილებმა აფხაზეთი დატოვეს, რთულ სოციო-ეკონომიკურ და სოციო-პოლიტიკურ გამოწვევებთან ერთად, დევნილები განიცდიან მრავალწლიან დევნილობას, რომელიც დაკავშირებულია ყოველდღიური სამყაროს ცვლილებასთან. მოცემული ნაშრომი სწორედ იმ ცხოვრებისეული გამოცდილებების შესწავლას ცდილობს, რომლებიც დევნილობის პერიოდში შეიქმნა. ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი მიდგომა ფენომენოლოგიური დიზაინის გამოყენებით.

კვლევის მიზანს წარმოადგენს, შეისწავლოს თბილისში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის, დევნილად ყოფნის ცხოვრებისეული გამოცდილებები იმ შეგრძნებებისა და ემოციების ფონზე, რომლითაც ეს გამოცდილებები ხასიათდება.

კვლევის შედეგები იძლევა შესაძლებლობას დანახულ იქნას დევნილთა პერსპექტივიდან როგორია იყო საქართველოში აფხაზეთიდან დევნილი, რის საფუძველზეც გამოვლინდა ის ძირითადი მახასიათებლდები, რომლის მიხედვითაც დევნილები აღწერენ განვლილ ცხოვრებას და შეცვლილ ყოველდღიურ სამყაროს მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების ფონზე. ასევე დგინდება თუ რა გრძნობასთან არის დაკავშირებული დევნილებისთვის აფხაზეთის გახსენება, და ბოლოს გამოჩნდა თუ როგორ საუბრობენ დევნილები აფხაზ და ქარველ მოსახლეობაზე.



**საკვანძო სიტყვები:** ცხოვრებისეული გამოცდილებები, დევნილები, შეგრძნებები, ყოველდღიურობა, ომი.

# Abstract

This paper examines the lived experiences of being IDP- in narratives of people from Abkhazia. More than 30 years have passed since the war in Abkhazia, but issues of the IDP-s problems are still relevant. After IDP-s left Abkhazia, along with the obstacles caused by the difficult socio-economic and socio-political background, displaced people suffered to years of displacement which are caused by changed everyday life. This paper tries to study those lived experiences, which are created during the exile period. The paper employs qualitative approach using a phenomenological design.

The purpose of the research is to study the lived experiences of being IDP- in narratives of people displaced from Abkhazia living in Tbilisi, and the paper also tries to examine those feelings and emotions that are characteristic to the experience.

The results of the research provide an opportunity to see what it is like to be an IDP from Abkhazia in Georgia from the perspective of the IDPs, based on which the main characteristics were identified according to which the IDPs describe their past life and the changed everyday world in the background of current economic and political changes. Also, revealed what feelings are associated with remembering Abkhazia, and finally, the research has found how the IDP-s talks about Abkhazian and Georgian people.

**Key Words:** Lived Experiences, IDP-s, Feelings, Everyday Life, War.

# მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, მარიამ დალაქიშვილს, მხარდაჭერისა და გაწეული დახმარებისთვის. ასევე, მადლობას ვუხდი კვლევაში ჩართულ ყველა მონაწილეს გაზიარებული გამოცდილებისთვის. და ბოლოს, მადლობა ჩემს მეგობრებსა და კურსელებს მხარდაჭერისთვის.